KA070140253351918

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

Ministry of Culture and Sport
of Georgia

0105, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N4, ტელ: 2-996-377; ფაქსი: (+995322) 2-987-435 ; ცხელი ხაზი: 1406
4 Sanapiro str. Tbilisi 0105, Georgia. Fax: (+995322) 2-987-435 Phone: 2-996-377 Hotline: 1406
www.culture.gov.ge E-mail: mc@culture.gov.ge

N03/15-1717

21 / მარტი / 2018 წ.

სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის რექტორს რეზო
კეკნაძეს (გრიბოედოვის ქ. 8-10, 0108
თბილისი, საქართველო)

ბატონო რეზო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2018 წლიდან, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, პრიორიტეტის „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა" ფარგლებში, დაგეგმილია სახელმძღვანელოებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა, რომლის მიზანს საგანმანათლებლო პროცესის სტანდარტიზაცია, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სასწავლო რესურსის შექმნა წარმოადგენს. სახელმძღვანელო უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

იმისათვის, რომ დასაფინანსებელი სახელმძღვანელოების, თუ სხვა საჭირო სასწავლო რესურსის შერჩევის პროცესი ნარიმართოს საჯაროობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით, სტუდენტებისა და ავტორთა ინტერესების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, შერჩევის კრიტერიუმები და პრიორიტეტები განსაზღვროს თავად სასწავლო დაწესებულებამ. ამასთან, მოგმართავთ თხოვნით, სამინისტროში წარმოდგენილ საპროექტო განაცხადს დაურთოთ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტის ასლი.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

კახი კანდელაკი

თბილისის სახ. კონსერვატორია
შევიდა. № 113
23. 03 2018 წ.